საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-716

29/08/2018

ქ. თბილისი

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ ,,წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მტკნარი წყლის მოპოვებას. წიაღითსარგებლობის ობიექტების რაოდენობა შეადგენს 2 ჭაბურღილს. ჭაბურღილები განლაგებულია შპს „ქართული ღვინოები“-ს კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა შეადგენს 300 000 $მ^3$-ს წელიწადში.

წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის მიხედვით ალაზნის არტეზიული აუზის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის მიწისქვეშა წყლების მარაგი დამტკიცებულ იქნა $A+B+C_2$ კატეგორიით, სადაც A კატეგორიას მიეკუთვნება თვითმდენი ჭაბურღილების დებიტი, B კატეგორიას მიეკუთვნება იგივე ჭაბურღილების ფაქტიური დებიტების ორმაგი ექსტრაქციით, ხოლო C_2 კატეგორიას დანარჩენი მარაგები. სალიცენზიოდ წარმოდგენილი N^01 ჭაბურღილი არაა თვითმდენი, ხოლო N^02 ჭაბურღილი თვითმდენია და მოთხოვნილი 300000 $მ^3$/წელიწადში რაოდენობის წყალი წარმოდგენილია C_2 კატეგორიით.

თითოეული ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე შეადგენს 80 მეტრს. არტეზიული ჭაბურღილების წყლების შესწავლამ აჩვენა, რომ ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ფიზიკური შემადგენლობა აკმაყოფილებს სასმელი წყლების მოთხოვნებს. წყლის ტემპერატურა 13-14 ^0C- ია. მოპოვებული რესურსის გამოყენება შესაძლებელია სამეწარმეო დანიშნულებით.

საპროექტო ტერიტორია ქ. ყვარლიდან დაშორებულია დაახლოებით 23-24 კმ-ით, ხოლო მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან აღემატება 10 კმ-ს. მიწისქვეშა წყლებზე სამეწარმეო დანიშნულებით ლიცენზიის გაცემის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 5 წელი.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორია საჭიროებს დასუფთავებას. წიაღითსარგებლობის ობიექტების ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია, ხოლო წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ნარჩენების წარმოქმნა და ხმაურის გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის განხორციელების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ავარიული სიტუაციები და კატასტროფები არ იქნება მოსალოდნელი. პროექტის განხორციელების შემთხვევაში კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას.

საქმიანობა არ არის დაგეგმილი შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

წარმოდგენილი დოკუმენტის შეფასებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა მნიშვნელოვან გარემოზე ზემოქმედებას არ გამოიწვევს და შესაბამისად არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ წარმოდგენილი ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილი შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ყვარლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი